



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„მართვე“

„მართვე“, ა. ერქომაიშვილის სახ. საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლი (სსიპ). დაარსდა 1976 ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლის რეპერტუარშია ძირითადად ქართ. ხალხ. სიმღერები. „მ-ს“ სხვადასხვა თაობის მომღერლები მალაღი პროფესიონალიზმითა და ოსტატობით ასრულებენ ძვ. ტრად. ურთულეს ხალხ. სიმღერებს. „მ-ს“ ტრიუმფით აქვს შემოვლილი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მონაწილეობდა ფოლკლორულ ფესტივალებში. ფირმა „მელოდია“ გამოსცა ანსამბლის რამდენიმე ფირფიტა, 1986 კი იაპონიის ცნობილმა ფირმა „ვიქტორმა“ გამოსცა მ-ს სიმღერების კომპაქტდისკი. 1994 „მ-ს“ ბაზაზე შეიქმნა ბავშვთა საერთაშ. ფოლკლორის ცენტრი. ანსამბლმა არსებობის განმავლობაში 1700-ზე მეტი კონცერტი გამართა. ზ. კაკაბაძემ გადაიღო ფილმი „მღერის მართვე“ (1980). გ. მატარაძის ფილმში „შვიდი ნოველა სიყვარულზე“ (1981) მონაწილეობენ „მ-ს“ მომღერლები. საიუბილეო თარიღისთვის გამოიცა წიგნი – „მართვე 20 წლისაა“. 2011 წ. 8 აპრილს ფილარმონიის წინ გაიხსნა ანსამბლ „მ-ს“ ვარსკვლავი.

2018 „მ“. ქართ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. აკადემიურ ანსამბლ „რუსთავს“ (ხელმძღვ. მ. ჯავახიშვილი) შეუერთდა. ანსამბლში ვაჟებთან ერთად მღეროდა ერთი გოგონაც – მ. მიქაბერიძე (რ. მიქაბერიძის ქალიშვილი).

თ. დოლიძე
